



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო  
საჯარო სამართლის იურიდიული პირი  
გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 238/ს  
25/05/2023

238-21-4-202305251214



**ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში, ახალშენის ადმინისტრაციული ერთეულს  
ტერიტორიაზე (9,832 ჰა) 479 150 მ<sup>3</sup> ტუფების, ტუფობრექციების და ტუფოქვიშაქვების  
(სხვა საშენი მასალა) ღია კარიერული წესით მოპოვების სკრინინგის გადაწყვეტილების  
შესახებ**

სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს მიერ, გზმ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში, ახალშენის ადმინისტრაციული ერთეულს ტერიტორიაზე (9,832 ჰა) 479 150 მ<sup>3</sup> ტუფების, ტუფობრექციების და ტუფოქვიშაქვების (სხვა საშენი მასალა) ღია კარიერული წესით მოპოვების სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, სალიცენზიო ობიექტი მდებარეობს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში, ახალშენის ადმინისტრაციული ერთეულს ტერიტორიაზე, ზღვის დონიდან 350-400 მეტრის სიმაღლეზე. წიაღითსარგებლობის ობიექტის GPS კოორდინატებია: X-726843, Y-4610663; X-726907, Y-4610847; X-726931, Y-4610867; X-726969, Y-4610891; X-727000, Y-4610907; X-727032, Y-4610917; X-727065, Y-4610916; X-727126, Y-4610890; X-727229, Y-4610843; X-727262, Y-4610828; X-727349, Y-4610762; X-727195, Y-4610594; X-727074, Y-4610643; X-7270044, Y-4610637; X-727018, Y-4610631; X-726943, Y-4610652; X-726879, Y-4610665. მონაცემების ელექტრონული გადამოწმების შედეგად დგინდება, რომ სალიცენზიო ობიექტიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი დაშორებულია დაახლოებით 500 მეტრით.

სკრინინგის განცხადების თანახმად, მორფოლოგიური თვალსაზრისით, წიაღითსარგებლობის ობიექტი მდებარეობს აჭარის მთისწინეთის გორაკ-ბორცვიან ზონაში და განისაზღვრება მდინარე ბარცხანას მარჯვენა ბორცვის ფრაგმენტით. აღნიშნული ტერიტორია ამავდროულად წარმოადგენს ქობულეთის მთის დასავლეთ პერიფერიულ სეგმენტს და ძირითადად განისაზღვრება სამხრე-დასავლური ექსპოზიციის, სხვადასხვა დახრილობის მქონე ეროზიულ-დენუდაციური ფერდობებით. ტერიტორია წარმოდგენილია მრავალწლიანი ხეებითა და ბუჩქნარით.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, სალიცენზიო ობიექტის დამუშავების ჰიდროლოგიური და სამთო-ტექნიკური პირობები ხელსაყრელია. საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით, წიაღისეულის საბადოს ობიექტის ტერიტორია მიეკუთვნება II (საშუალო) კატეგორიას. გეოლოგიური თვალსაზრისით რაიონი აგებულია პალეოგენური ვულკანოგენური წარმონაქმნებით. ზღვის სანაპიროზე ფართოდ არის გავრცელებული მეოთხეული ნალექები. ყველზე ძველი ნალექები წარმოდგენილია, ძირითადად, ვულკანოკლასტოლითებითა და ბაზალტების ლავებით. წყების სიმძლავრე 1000-დან 1500 მ-ის ფარგლებში იცვლება. მასზე თანხმობით არის განლაგებული ნალვარების წყების ნალექები, რომლებიც წარმოდგენილია თხელშრეებრივი, წვრილმარცვლოვანი პელიტური ტუფებით, ტუფოქვიშაქვებით, მსხვილნატეხოვანი ვულკანოკლასტოლითებითა და ანდეზიტო-ბაზალტური შემადგენლობის ლავური განფენებით. წყების სიმძლავრე აღწევს 1700 მ-დე. ნალვარების წყებას, ნალექების თანხმობით, მოჰყვება ჭიდილას წყების ნალექები - მასიური და მსხვილნატეხოვანი ვულკანოკლასტოლითების და ლავების კომპლექსი. ამ წყებასთან არის დაკავშირებული ახალშენის ტუფობრეჭიების საბადო. წყების სიმძლავრე 1100 მ-ს აღწევს. მეოთხეული ნალექები წარმოდგენილია ქვიშაქვებით, თიხებით, ქვიშებით. კონტინენტურ ფაციესს აგებს ალუვიური, ჭაობის და დელუვიური წარმონაქმნები. მეოთხეული ნალექების სიმძლავრე ერთეული მეტრებიდან 150 მ-მდე მერყეობს. სალიცენზიო ობიექტისა და მიმდებარე ტერიტორიის გეოდინამიკური მდგომარეობა სტაბილურია.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, წიაღისეულის საბადო დაძიებულია დეტალურად. მისი მარაგები გამოთვლილია საშუალო არითმეტიკული მეთოდით. საძიებო სამუშაოების ფარგლებში, საბადოებზე გაყვანილია თხრილები, შურფები და ჭაბურღილები, აღებულია მონოლითები, კერნული სინჯები (ფიზიკურ-მექანიკური თვისებების შესასწავლად), ტექნოლოგიური სინჯები, აგრეთვე, ნიმუშები ქანების პეტროგრაფიული შესწავლისთვის. ლაბორატორიული და ტექნოლოგიური კვლევების მიხედვით, ტუფობრეჭიები ღია ნაცრისფერი და რუხი ფერისაა - მსხვილნატეხოვანი. ნატეხები ანდეზიტური, ანდეზიტობაზალტური შემადგენლობისაა. მადნიანი სხეულის ფართობი შეადგენს 98 320 მ<sup>2</sup>-ს (9,832 ჰა), ხოლო საშუალო სიმძლავრე - 5 მ-ს. მადნიანი სხეულის მორფოლოგიური ტიპი შრეებრივია. წიაღისეულის რაოდენობრივი მაჩვენებლები, მარაგებისა და პროგნოზული რესურსების კატეგორიების მიხედვით ( $A+B+C_1+C_2$  და  $P$ ), წარმოდგენილია  $B$ ,  $C_1$  და  $P$  კატეგორიებით, რომელთა საერთო მარაგი შეადგენს 491 600 მ<sup>3</sup>-ს. თანმდევი სასარგებლო წიაღისეული და მისი კომპონენტების მარაგები ობიექტზე არ ფიქსირდება.

სკრინინგის განცხადებაში არ არის განხილული დაგეგმილი საქმიანობის მახასიათებლები, კერძოდ, ნარჩენების წარმოქმნა, ხმაური/ვიბრაცია, ატმოსფერულ ჰაერზე, ნიადაგზე, გრუნტის წყლებზე მოსალოდნელი ზემოქმედება, რაც საჭიროებს სათანადო შესწავლას და შეფასებას. სასარგებლო წიაღისეულის ღია კარიერული წესით დამუშავებისას, საქმიანობის სპეციფიკიდან და მოპოვების მეთოდიდან გამომდინარე, მოსალოდნელია ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე ზემოქმედება, კერძოდ, არაორგანული მტვრის გაფრქვევა, რასაც ადგილი ექნება, როგორც მოპოვებითი სამუშაოების წარმოების

პროცესში, ისე ნედლეულის ტრანსპორტირებისას. გარდა ამისა, საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, სალიცენზიო ობიექტის დამუშავების დროს, ადგილი ექნება ხმაურის წარმოქმნას და გავრცელებას, ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების ხარისხის გაუარესებას. ამასთან, დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში, სხვადასხვა დანადგარების მუშაობისას, მოპოვებით სამუშაოებს თან ახლავს ვიბრაცია. შესაბამისად, აღნიშნული საკითხები საჭიროებს სათანადო შესწავლას და შეფასებას.

წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არ არის განხილული არსებულ ან/და დაგეგმილ საქმიანობასთან კუმულაციური ზემოქმედების საკითხი, ასევე, არ არის მოცემული ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის შედეგად გამოწვეული შესაძლო რისკებისა და საფრთხეების შესახებ. დოკუმენტში არ არის წარმოდგენილი ბუნებრივი რესურსების (განსაკუთრებით - წყლის, ნიადაგის, მიწის) გამოყენების საკითხები, არ არის შეფასებული დაგეგმილი საქმიანობის გარემოზე შესაძლო ზემოქმედების ხარისხი და კომპლექსურობა. წარმოდგენილი სკრინინგის განცხადება არ მოიცავს დაგეგმილი საქმიანობის შედეგად ბიომრავალფეროვნებაზე და საპროექტო ტერიტორიაზე არსებულ სახეობებსა თუ ჰაბიტატებზე შესაძლო ზემოქმედების შესახებ ინფორმაციას. შესაბამისად, აღნიშნული საკითხები საჭიროებს სათანადო შესწავლას და შეფასებას.

სალიცენზიო ობიექტი არ მდებარეობს არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, ასევე, დაცული და ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიების სიახლოვეს, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება განთავსდა სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და გადაიგზავნა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, საზოგადოების მხრიდან, აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში არ ყოფილა წარმოდგენილი.

სკრინინგის განცხადების შესწავლით დგინდება, რომ საქმიანობის სპეციფიკის, ადგილმდებარეობის და მოპოვების მეთოდის (ღია კარიერული) გათვალისწინებით, დაგეგმილი საქმიანობა გამოიწვევს მნიშვნელოვან ზემოქმედებას გარემოზე, რაც საჭიროებს სათანადო შესწავლას, შეფასებას და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი პრევენციული/შემარბილებელი ღონისძიებების განსაზღვრას.

**ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის და ამავე კოდექსის II დანართის მე-2 პუნქტის 2.1 ქვეპუნქტის საფუძველზე,**

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში, ახალშენის ადმინისტრაციული ერთეულს ტერიტორიაზე (9,832 ჰა) 479 150 მ<sup>3</sup> ტუფების, ტუფობრექციების და ტუფოქვიშაქვების (სხვა საშენი მასალა) ღია კარიერული წესით მოპოვება დაექვემდებაროს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-8 მუხლის შესაბამისად, უზრუნველყოს სკოპინგის პროცედურის გავლა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს სსიპ მინერალური რესურსების ეროვნულ სააგენტოს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ №6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

თამარ ფიცხელაური

*თ. ფიცხელაური*

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

